კვირა 28 თებერვალი

ფასი 10 კაპ.

№ 9 — სალამური

ყოველ-კვირეული იუმორ. ჟურნალი.

რუსეთის „პარლამენტში“

ხომიაკოვი. ჰოი, მოსიი, დესტურნელ კონსტან!
თქვენ რომ შეგეძლოთ
აქ დიდხან მოცდა,
ჩვენ გაგაცნობდით
ამ ძვირფას ტაძარს...
აი, შეხედეთ პატარა ფანარს?!.
როცა დავაჭერ აქ
თითის წვერსა,
ფანარი იღებს მოწითლო ფერსა
და ეს ნიშანი ამცნობს ორატორს,
რავი მოუკრას სიტყვების გოდორს.

კონსტანი. ოჰ, რა ძვირფასი მოგონებაა!
იგი ჩვენთვისაც
ხომ ცხონებაა?!
ჩვენს პარლამენტსაც
უნდა რეფორმა,
დეე, ეს ხერხი ვიცოდეთ ორმა

ჩვენთვის ეგ უფრო საპირო არი
ჩვენ, ფრანცუზები
მეტად ვართ ცხარი..
მაგრამ, გოსპოდინ, ერთი მიბრძანეთ,
აქ ამ გალიით რა მოიყვანეთ?!
ეგ ცხოველები
რისთვის გეპირიათ,
ან სად და როდის
დაგიჭერიათ?

ხომიაკოვი. ხე ხე ხე! ნეთუ იმათ კითხულობთ?
თქვენ ხომ მათ ლანძღვებს
ხშირად კითხულობთ?!
„ჰეშმარიტ-რუსთა" ლიდერებია...

კონსტანი. ნუ თუ?!... გული ვერ მიჯერებია.

პატარა ფელეტონი.

ორი გენერალი.

შორსმჭვრეტელობას მოკლებულსა და გამოუცდელ ადამიანს უთუოდ ეგონება: ადესასა და იალტას შორის მეტის მეტათ სათუთი, მომხიბლავი და წარმტაცი სიყვარულის გრძნობა სუფევსო.

ნამდვილათ კი ეს სრულიადაც ასე არ არის. აგერ ორი-სამი წელიწადია ორივ «მარგალიტი შავი ზღვის ნაპირისა» ყველასაგან ფარულათ, სასტიკს და შეუბრალებელ ომს ეწევიან ერთმანეთში მსოფლიო სახელ დიდების მოსაპოებლათ.

იბრძვიან, რა თქმა უნდა, არა ქალაქები იალტა და ადესა, არამედ მათი გენერლები,—დუმბაძე და ტოლმაჩევი. მაგრამ ეს ხომ სულ ერთია,—ადესსა ხომ იგივე ტოლმაჩევია, ხოლო იალტა იგივე დუმბაძე...

ყოველ დილით გენერალი ტოლმაჩევი აკანკალებული ხელით შლის გაზეთს, უყურადღებოთ სტოვებს ყოველგვარ ცნობებს, ყველა ქალაქებს და აღგზნებულის თვალებით აჩერდება იალტას.

— ვნახოთ ერთი რითი ისახელა თავი იალტის გმირმა!

სიტყვა „გმირს" ტოლმაჩევი ყოველთვის ზიზღით, ან უკეთეს შემთხვევაში, აგდებულის კილოთი ამბობს ხოლმე.

— წავიკითხოთ ერთი რა ახალი ოინი მოიგონა ადესელმა მამულის ბურჯმა. ამბობს ამავე დროს იალტელი გენერალი დუმბაძე და გულის ფანცქალით ათვალიერებს დეპეშას ადესიდან.

სიტყვა „მამულის ბურჯს" დუმბაძეც მუდამ დამცინავის კილოთი ხმარობს ხოლმე.

და ამით იწყება უკეთილშობილესი მეტოქეობა შავიზღვისპირელ პატრიოტებისა.

ერთხელ ტოლმაჩევმა წაიკითხა დეპეშა, რომელმაც დიდ საგონებელსა და მწუხარებაში ჩააგდო ის. აი დეპეშაც:

იალტა. გენერალმა დუმბაძემ ალყა შემოარტყა ქ-ნ ნოვიკოვის აგარაკს. დასწვა ის და ნაცარ-მტვერი ქარს გაატანა მიწიდან აღსაგველათ.

— ერთი შეხედე! გულის სიღრმიდან ამოსწყდა ტოლმაჩევს.—არა, ამისი ასე გაშვება არ შეიძლება. მე...მე დავსწვავ ბირჟას!..

მაგრამ ბირჟის დაწვა ერთობ მოუხერხებელი შეიქნა. რა დღესაც და რა დროსაც კი არ მივიდა ბირჟასთან გენერალი, მას მუდამ წინ ეგებებოდენ პურ-მარილით. „ურას" ძახილითა და შესაწირავებით „ჰეშმარიტ რუსთა კავშირის" სასარგებლოთ.

დიდხანს ფიქრობდა, ღრმათ ფიქრობდა ადესის გენერალი და ბოლოს ეღირსა:

— ევრიკა! ევრიკა! ვნახოთ ვისი აჯობებს!

ორი დღის შემდეგ იალტის გენერალი კბილთა ღრჭენით კითხულობდა ტელეგრამას:

ადესსა. გენერალმა ტოლმაჩევმა დეპუტატი ბროდსკი უკანონოთ სცნო... ბროდსკი იძულებული გახდება დასტოვოს სახელმწიფო დუმის კედლები.

აჰაა! შენ გინდა გადამადუმბაძეო, არა?! ჩალაპარაკა იალტის გმირმა. ვნახოთ, ვნახოთ!

გენერალმა მტკიცე და გაბედული ნაბიჯით დაიწყო ოთახში სიარული.

— ძალიან კარგი! თქვენ გსურთ დეპუტატების დევნით მოიპოვოთ სახელი, არა? მე უფრო მაღლა დავუმიზნებ.. ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ თქვენ-ნო აღმატებულებავ!..

მთელი ღამე დუმბაძის ოთახში სინათლე ბჟუტავდა. გენერალი საწერ სტოლს ეჯდა და რაღაცას გულმოდგინეთ სწერდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მშვენიერი მყუდროება ტოლმაჩევისა მოსწამლა გაზეთში გამოქვეყნებულმა დეპეშამ:

იალტა. გენერალმა დუმბაძემ სასტიკი საყვედური და გაკიცხვა გამოუცხადა ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორ ბეკმანს, ვინაიდან ამ უკანასკნელმა დღემდე ვერ გადაასახლა ფინლიანდიიდან რუსეთის მტრები,—ფინლიანდიელები. ასეთივე სასტიკი სიტყვებით მისცა წინადადება დუმბაძემ გენერალ გუბერნატორ ბეკმანს დროიანათ ითხოვოს სამსახურიდან გადადგომა.

— ვერ გადამატალმაჩოვებ, ვერა! დაკოდილის გულიდან მწარე ღიმილით წარმოსთქვა ტოლმაჩევმა. თქვენ ხომ გენერალ ბეკმანს? მე კი..

და კეთილშობილური მეტოქეობა კვალად ვითარდებოდა.

გენერალმა დუმბაძემ, რასაკვირველია, ტოლმაჩოვის გულმოსაკლავათ გააძევა იალტიდან ყველა შავგვრემანები.

— ვერ შეგვაშინებთ! წარმოსთქვა ტოლმაჩევმა, ვიცით რითაც უნდა გიპასუხოთ და განდევნა ადესიდან ყველა „ბლონდინები".

გენერალმა დუმბაძემ დატუქსა უწმინდესი სინოდი.

მეორე დღესვე ადესსის გმირმა შეაფუცხუნა მინისტრთა საბჭო.

რით გათავდება ზღვისპირის გენერალთა მეტოქეობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამბობენ: ორივე პატრიოტის კანცელარიაში მზადდება შესანიშნავი საიდუმლო ცირკულიარებიო.

ადესის ცირკულიარში დუმბაძე ,,ინოროდეცათ'' არის აღიარებული და გადასახლების შიშით ეკრძალება ადესაში შესვლა.

იალტის ცირკულიარით გენერალი დუმბაძე სამსახურიდან ითხოვს გენერალ ტოლმაჩევს *)

ო. ლ. დ'ორ.

(«რეჩი.» № 48)

*
* *

ჩემი ცხოვრების გაძარცულ ველზე
ობლათ ვიდოდი, ვეძებდი შვებას,
სევდა-ვარამი მიღრღნიდა გულსა,
ბოლო არ უჩნდა ჩემს მწუხარებას.
მარა გამოჭკრა ელვამ წყვდიადში,
არეს ჩამოხსნა შავი სუდარა
ჩემი ცხოვრების ნისლიან ცამა
ერთხელ ჩემთვისაც გამოიდარა:
ქარ ბუქისაგან დაგესლილ ველზე
გადაფურჩქვნილი ვნახე მე ვარდი,
ვთქვი:—მე მეკუთვნის აგი ყვავილი,
აწ ველარ დამძლევს სევდა და დარდი!..
თავს ვევლებოდი ჩემსა საუნჯეს,
გამსხივოსნობელს ჩაგრულ გულისას,
იმას შევსტრფოდი, მას შევხაროდი,
ცრემლებს ვაფრქვევდი სიყვარულისას!..
სულ დამავიწყდა, რომ მდევნის ბედი...
აბა სად მე და სად ნეტარება!..
ჩემს ცხოვრებაში ერთი წამითაც
უცხო ხილია ლხენა და შვება...
გადმოიქროლა სასტიკ გრიგალმა,
ველს დაეტაკა განრისხებული,
მოსწყვიტა ყლორტზე ჩემი ყვავილი...
დამტოვა ისევ დაობლებული!

*) შენი არ ვიცი, ძვირფასო მკითხველო და როცა ჩვენი ქვეყნის შვილებზე ასეთ სასიამოვნო ამბებს ვკითხულობ, გული გაასკეცებით მიცემს, სული აღმაფრენას განიცდის და გონება ნათელის შუქით რიბრწყინდება. გენერალი ტოლმაჩოვი! გენერალი დუმბაძე! რა მშვენიერი სიტყვებია. დუმბაძე ხომ მკვიდრი შვილია ჩვენი გურიისა და ტოლიაჩოვს კი გურიის ცეცხლმა მოჰფინა პირველი შარავანდედი დიდებისა?! დიახ, მე არ შემიძლია გრძნობა სიამაყისა არ განვიცადო მათი სახელის ხსენებაზე, თქვენ კი როგორც გენებოთ.

ეშმაკი.

და იქ, სად წინეთ ვარდი ჰყვავოდა,—
ბოროტი სული დაძრწის, ხითხითებს.
და ჩემი ჩანგი, ობლათ შთენილი,
დაკარგულ იმედს თავს დაჰქვითინებს!..

კ. გოგოლაძე.

დეპეშები ფოთიდან.

(ვოდ ფენარის საგენტო)

ფოთი. გაიხსნა მორიგი საეპარქიო სიეზდი. სიეზდზე გაიმართა კამათი იმის შესახებ თუ როგორ აღვადგინოთ სამლვდელოების დაცემული პრესტიჟი. ამისთვის საუკეთესო საშვალებათ სიეზდის ერთმა ნაწილმა აღიარა: ნარდ-კარტის თამაში, დღეღამ ქეიფი სასტუმროებში, რესტორანებში და სადაც ამნაირები არ მოიპოვება, სამეკტნოებშიაც.

იქიდანვე. პორტის რკინის გზის მოსამსახურეებმა და ზოგმა ,,როსიის'' და ,,რუსეთის'' კანტორის მოსამსახურეებმა ამ დღეებში გამართეს პიკნიკი. ბევრები ბახუს აყვენ მძევლათ. რო ორც გავიგეთ, ამ ხმაურობის მიზეზი ყოფილა პორტიდან ვაგზალში ერთი ფრიად სიმპატიურ ჟანდარმის გადაყვანა. მობახუსე მსახურთ არ გამეტყ-ენებათ ასეთი ნადიმი, რადგან პორტიდან ვოგზლამდე 2 000 გოჯის მანძილია.

იქიდანვე. ყავახანებში და სამეკტნოებში დაიწყო მკლავ-მხრების ვარჯიშობა. დღე ერთია,—თავპირ დამოვრეული ასი პოლიცია მოკრივეებთან ბრძოლაში უძლური გამოდგა ამბობენ, სხვა ქალაქებიდან გამოიწერენ დამხმარეებსო.

იქიდანვე. რუსის საზოგადოების კანტორის ერთ მოსამსახურეს ამ დღეებში გაზეთ ,,ბათუმის ვესტში'' გამოუქვეყნებია ძლიერი და სენსაციური დრამმა ფოთის პორტის მუშათა ცხოვრებიდან ,**ანათემა**'' ავტორს ძლიერი ნიჭი ეტყობა. ამბობენ დუბროვინის ნაკაურთხიაო. ახალი დრამის ,,ანათემას'' (ანდრეევისა არ გეგონოთ) გარჩევა მოხდება საჯაროთ ამ დღეებში დამცველათ გამოვა აგენტი იზბაში (ამბობენ, დიდი ლიტერატორიაო) ბრალმდებელათ ,, ორი მკვდარი და ნ ცხენი'', რომლებიც რუსის სანავოსნო საზოგადოების პახგაუზში' წლობით რჩებიან გაუტანელი.

მოსალოდნელია დიდი სენსაცია. დაწვრილებით შემდეგ.

(,,თოხისტის'' საგენტო)

გურიახური. ორი დღეა შესწყდა ადგილობრივ დონ-კიხოტ—მკლავაძეების ქეიფი, რის გამო გზებში მიმოსვლა კვლავ განახლდა.

ჯურუყვეთი. ტყუილია ხმები, ვითომც გრიგოლ ცენტერაძე ჯუმათში სკოლის აგების წინააღმდეგი იყოს. პირიქით ამ საქმეზე ერთობ „ზრუნავს" და ხალხს ერთმანეთს აყვარებს.

ჯუმათი. მედიცინის ფერშალმა ჩხაიძემ უმწვერვალესი ნიჭი გამოიჩინა აკუშორობისა და საუკუნო სატანჯველს გადაარჩინა დედა-შვილი.

ლანჩხუთი. განზრახულია მომავალი ქალთა სკოლა საქონლის ვაგონებში მოათავსონ და რიგ-რიგობით გააჩერონ: ნიგოითსა, ლანჩხუთსა, ჯუმათსა და სუფსაში.

ევოლიუცია ტრამვაის დირექტორისა.

ჩანგს.

—

ქირიმე შენი წკრიალა ჩანგო,
ჩემო ძმობილო და ამხანაგო!
ვიდრე გვაქვს ძალი, ნუ შევწყვეტთ მღერას...
ჩაგრულ-წამებულთ გულისა ძგერას
შევუწყოთ ჰანგი, შეუკავშირდეთ:
მათთან ვიცინოთ, მათთან ავტირდეთ.
ნუ, ნუ შეგვაკრთობს ლანძღვა-გინება,
ნურც გაგვიტაცებს ქება დიდება.
ერთხელ არჩეულ ეკლიან გზაზე
ვიაროთ, ფეხს ნუ გადავდგამთ განზე:
დაე გვკაწრავდეს ნარი, ეკალი,
სისხლით აღვბეჭდოთ ჩვენ ჩვენი კვალი!

—

გზა-გზა შევკრიბოთ ჩაგრულთ ცრემლები,
ვაი-ვაგლახი, მოთქმა, გოდება,
მსხვერპლათ შეწირულთ სისხლის წვეთები,
ჯოჯოხეთური ტანჯვა-წვალება...
შევკრათ, შევკონოთ ერთ თაიგულათ,
რომ ყველა მისი მსმენელ-მნახველი
შეძრწუნდეს, დადნეს ცრემლთ ნაკადულათ,
უსამართლობა დაგმოს შავ-ბნელი.

—

ხედავ იმ ტურფას მწვერვალზე მთისა
რომ წამომჯდარა ნათლით მოსილი?
ყველა ჩაგრულთა სატრფოა ისა,
მაისის ვარდი ტურფათ გაშლილი.
მას ვენაცვალე! მისკენ ვიაროთ,
ჩვენი მიზანი და მისწრაფება
სხვებსაც გავაცნოთ, გავუზიაროთ,
გულს ჩავუნერგოთ მისდამი ტრფობა.
რომ ყველა მისკენ მიისწრაფოდეს,
მხოლოთ იმისთვის უძგერდეს გული,
თვით ჯოჯოხეთსაც არ უდრკებოდეს
მისთვის იბრძოდეს თავ განწირული!

ვ. რუხაძე.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(ლიკლიკაძის სააგენტო)

ოზურგეთი. გორგასლიძე გამაგრდა. „ძალლი ვინც დაარჩოს, იმან გიდაათრიოსო“. ჩემს დამ-რჩეალ ბალნებს წლის ბოლომდე მე მოუვლი—ეგზამენების შემდეგ გიახლებიო

ხიდისთავი. „ბლოლოჩინ-ყოჩმა“ სამი გააგზავ-ნა მონასტერში ცოდვების მოსანანიებლათ.

ჩოხატაური. ველირსეთ ცირკს. მეტი რაღა გვინდა აწი არც სამკითხველოში და არც ყავახა-ნაში არ შევიხედავთ.

ლიხაური. ხიდისთავლებს სამედიატორო სა-მართალში ვერ გავყვებით. თუ უნდათ ბლიკვზე მზათ გახლავართ.

ცხემლისხიდი. გზაზე ვმუშაობთ ფირალებს ჯერ არ გამოუვლია, თორემ შევიპყრობდით და ოზურგეთში წავიყვანდით.

ბოხვაური (ჩეტა). გასათხოვრები უხმარ სარ-კეში ეძებენ საბედოებს. სენსაციური ამბებია. ზოგს სარკეში ბერი გამოუჩნდა, ზოგს ცოლიანი კაცი.

(**შემთხვევითი**)

ახალ სენაკი უკვე უარყვეს ადგილობრივ სა-ზოგადოებაში გავრცელებული ხმა, თითქო ბ-ნი სპირიდონ ენუქიძე ხელს უშლიდეს ახალ-სენაკში პროგიმნაზიის დაარსებას. როგორც გამოირკვა, ის ხელს კი არ უშლის, არამედ—ფეხს.

სუჯუნა. კვირას, 21 თებერვალს, დილის 11 საათსა და 59 წუთზე ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სუჯუნის სამკითხველო.

ეწერი. უჩვეულო ამბავი მოხდა. გამოსცვალეს ცნობილი მამასახლასი მელიტონ კაკაბაძე. მის ნაც-ვლად აირჩიეს ბ-ნი ჯვარშეიშვილი. მაგრამ დახეთ უბედურობას! მიუხედავათ მოწერილობისა, მელი-ტონი ველარ გამოეტია კანცელარიის ოთახიდან. ხალხი გაოცებულია და ვერ მიმხვდარა, თუ რამ გაასუქა ბ-ნი მელიტონი ამზომ. ამბობენ საჭირო იქნება შენობის დარღვევა იმის გამოსაყვანათო.

აკეთი. სულ წინ მივდივართ. ქეიფი და ჰან-ქოს თამაში განუწყვეტლივ სწარმოებს. მასწავლე-ბელი პართენი აპირებს სკოლა ღვინის საწყობათ გადააქციოს.

18 თებერვალს კანცელარიის გვერდით დიდი ლხინი იყო: მეთაურობდენ ხოსო, პართენი და პავ-ლე. ქეიფის შემდეგ პართენი ავათ გახდა.

ყვავი და ბულბული.

(ვუძღვნი კ. აბაშიძეს)

კრიტიკოსო! ლექსსა გიძღვნი,
იმედი მაქვს დააფასებ
და სხვა ახალგაზდა მწერლებს
ჩემთან ყველას გააფასებ.
ლექსთა წყობა ახალი მაქვს
შენ რომ მოგწონს იმისთანა.
შინაარსი? მე არ გითხრა
თვითონ ვერ მიხვდები განა?
მაშ დავიწყებ, ყური მიგდე,
მოისმინე, გაიგონე
და თუ თქმულმა გული დაგწვას
ცივი წყალი **დააყოლე.**
ვნახე ვარდი,
ცა ლაჟვარდი
ცვარს აფრქვევდა
და არხევდა
დილის სიო ცელქი, ლაღი...
და ხარობდა ტურფა ბაღი.
ნაზი ბულბული მომხიბლავათ ტკბილათ გალობდა,
ყვავი ყვანჩალა ყურს უგდებდა, ასე ამბობდა:
ჩხავანა ყვავი
რომ იყოს შავი
კარგი იქნება,
ვერ შეედრება

მას ქვეყანაზე ველარაფერი,
მაგრამ რადგანაც ბულბული არი
კილოც ცუდი აქვს და ხმაც საზარი,
დასაგმობი აქვს სუყველაფერი ''
ჩაუნისკარტა და ფრთა გაშალა, გადაიარა ტყე
დაბურული,
მონახა მინდვრათ თვისივე მოძმე, ქება შეასხა
აღტაცებული.

ხუმ:რა.

საშინელი დრამა რედაქციაში

აგერ მეორე წელიწადია ის, ორფეხი, (რედაქტორი) დილის რვა საათიდან მიუჯდება ხოლმე ოთხფეხს, (საწერ მაგიდას) და მძიმეთ ჩაფიქრებული საქვეყნო საქმეს აკეთებს.

წინეთ, ძველის-ძველათ, იმათი წინაპრებიც თურმე ოთხფეხნი იყვენ, მაგრამ დროთა ვითარების გამო, ორს, უკანა, ფეხებზე იწყეს სიარული და ამ ჟამათ იმასა და მის ოთხფეხა მეგობარს შორის ერთობ დიდი განსხვავებაა.

შეიძლება შორეულ მომავალში საწერმა მაგიდამაც ორ ფეხზე დაიწყოს სიარული, ან მისი ორ ფეხი ამხანაგი დაუბრუნდეს წინაპართა ჩვეულებას ვინ იცის!

დღეს ორფეხი ძლიერ ცუდს გუნებაზე მიუჯდა ოთხფეხს. ის ნათლათ ამჩნევს, რომ თვიდან თვეზე, კვირიდან კვირეზე მათი კანონიერი შვილი უფეხო, (ჟურნალი) ფერსა ჰკარგავს, ენა უჩლუნგდება, გზას უხვევს, გულჩახვეული ხდება, თვალი უბრმავდება, აზრი ერევა, ყურთასმენა უსუტდება მეხსიერება ღალატობს... ორფეხი ცხადათ ხედავს თავისი შვილის სიცოცხლეშივე გახრწნას, სასო წარკვეთას, ჩამორჩენას და დაძაბუნებას. ამიტომაც არის ბრაზმორეული ხშირად ჩაანარცხებს ხოლმე მუშტს თავის ოთხფეხა მეგობარს, თითქოიმას ედოს უეტესი ბრალი ამ დანაშაულში.

ის კი, ის ოთხფეხი მუშაკი, მხოლოდ ინახავს ორფეხის საუნჯეს, ზურგს უშვერს სავარჯიშოთ და კალმის სანავარდოთ.

აი დღესაც ორფეხმა გამოალო ოთხფეხის გული და ზანტათ ამოალაგა იქიდან ლამაზათ დაკეცილი თეთრი ქაღალდები.

— ეს ლექსი... ჩაილაპარაკა მან. (ორფეხმა ლაპარაკიც იცის, ოთხფეხი კი მარტო ჭრიალობს) „იმედის დაღუპვა!“ ალბათ კარგი იქნება. დაიწყო:

„სად გაჭკრი ბედის ვარსკლავო?
სად მიხვალ მიიმალები?
რას მინთებ ცეცხლის გენიას
რათ ამიცრემლე თვალები
მინდა . . . . . .“

— ეჰ, გინდა ძმობილო, მაგრამ რა ვუყო, თქვენმა ტირილმა სწორეთ გული წაიღო. მშვიდობით, მშვიდობით. და ორფეხმა მაგრათ დაჭმუჭნული ქაღალდი ოთხფეხს ჩაუგდო ფეხებ ქვეშ ჩადგმულ საწველელში. საწველელს ესიამოვნა და შრიალი დაიწყო.

— აბა შენ მოდი აქეთ! განაგრძო ორფეხმა .. მოდი, მოდი. აჰა, ესეც ლექსი.

„ცა მოღრუბლულა“.

«ცას შავი ძაძა გადაფარვ ა,
მიწას დასტირის...
გულს იმედები სად გაჰპარვია
და რისთვის ტირის?..
ოჰ, ზესთა ძალნო...»

— ოჰ შესაბრალნო!.. მტირალა თვალნო, ფრიად საწყალნო, თქვენ დამაშვრალნო. რისთვის დაგისახავთ მიზნათ გამიშროთ სისხლი, მომიწამლოთ სიცოცხლე? რისთვის, რისთვის?!

„მოღრუბლული ცაც“ საწველელში ჩაებარგა უშფოთრათ და უდრტვინველათ.

— ეხეც ლექსია. »**სევდამ წამიღო**!..“

«გულ დაკოდილი
წყლულ გაპობილი
ობლათ შობილი
სევდამ წამიღო.»

— ჯანაბასაც წაუღიხარ! აქაც სევდა და გულის გაპობა! ორფეხი უკვე მზათ იყო ერთი მუჯლუგუნი კვალად ჩაეკრა თავისი ოთხფეხი მეგობრისათვის, მაგრამ თავი შეიკავა. მოგეხსენებათ ისეთი დრო გვიდგა, როცა მუჯლუგუნებს უცხოელებზედაც გისაყვედურებენ, არა თუ მეგობრებსა და ნაცნობებზე.

— ახირებულია ღმერთმანი! რა წყალში უნდა ჩავარდეს კაცი!,,სითაც გავიქეცი,იქით წავიქეცო ' რომ იტყვიან სწორეთ ეს არის. აბა ერთი ესა ვნახო. ლექსია რაღა თქმა უნდა!!! „**შავი ზეწარი.**“

«სიკვდილის ცელმა იელვა,
ფრთა შემიკვეცა ოცნებას,
შავი ზეწარი მოჰფინა
მთლად არე-მარეს. გონებას,
გაპირქუშა. . . . . »

— რატომ არ გაანადგურა და მარტო გაპირქუშა! თითქმის ცრემლ-მორევით ჩაილაპარაკა ორფეხმა და ათრთოლებული ხელებით დაჭმუჭნა გრძლათ გამოჭრილი თეთრი ქაღალდი. მის სახეს ღრმა აღშფოთებისა და სასოწარკვეთილების კვალი ემჩნეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ გულს არ იტეხდა.

— აჰა, კიდევ ლექსი! „**იტირე ჩანგო.**“

«ჩანგო თითს გაგკრავ
და აგაყღერებ...
მწარე ცრემლს დავღვრი,
არ კი დავმღერებ...
ვიტირებ ბედის უკუღმართობას.»

— ფუჰ შენსა კალამს და ვაჟკაცობას! ეს რაღაც გადამდები სენია სწორეთ! ორფეხს ფერი დაეკარგა, გულმაც გახშირებით დაუწყო ცემა.

— ესეც ლექსი! უიმედოთ ამოიოხრა მან და

მიბნედილი თვალები მიაპყრო გრძელთა უგრძეს ქაღალდის ლენტს: „**შავო ვარსკლავო!**“

«ზეცაში ბრწყინავს შავი ვარსკლავი,
მწარეთ დასტირის
ობოლს თვალები
ტირის და ტირის გულ გადადრული
მწარ ბედისაგან
განაწვალები.»

— მიშველეთ!.მწუხარეთ აღმოხდა რედაქტორს, ტანში დაეჭრელა, თავბრუ დაესხა და უგრძნობლათ ჩაიკეცა ოთხფეხი მეგობრის წინაშე.

ათის ნახევარზე ის უკვე გაცივებული ნახეს ახალმა ავტორებმა და ამით ერთი ზედმეტი საბაბი იშოვეს „მდულარე ცრემლები“ ედინათ ,,გამშრალ თვალთათვის“ და..

ეშმაკი.

P. S. თქვენ იქნება გეუცხოვოთ თუ რისთვის მოკვდა ასე უმიზეზოთ აღნიშნული რედაქტორი, აქ გასაკვირი არაფერია. ავტორს ყოველთვისა აქვს უფლება, როდესაც დასჭირდება მაშინ მოუღოს ბოლო თავის გმირს და როგორი სიკვდილიც უნდა ისეთი აურჩიოს.

ეშმა.

*
* *

ახ, რა კარგია შენზე ოცნება,
შვების ზვირთებში შორს გადაფრენა!..
ტკბილ მომავალზე იმედით ფიქრი
და გულის ორთოლვით აზრთ აღმაფრენა!..
მიპყრობს იმედი, ფრთებით მატარებს ..
ჩუ! განთიადმაც სხივები მტყორცნა!..
ვაჰ! რა ტკბილია ამ დროს სიცოცხლე
და მთელი ქვეყნის შენთან ჩაკოცნა!..
მინდა, ღვთაებავ, ამ დროს სამყაროს
გულს ჩავექსოვო, შენთან ვეკონო,
მაშვრალთა კერას მქუხარე ზღვაზე
ხიდათ გავედო, წყალში ვეფონო...
ახ, რა ტკბილია შენზე ოცნება,
შენს გვერდით თრთოლვა იმედის ფრთებზე!..
აფრენა მაღლა, ძლევამოსილათ
და იქ, სიმთ ყღერა უმაღლეს მთებზე!...

ვ. მალაქიაშვილი.

ივლიანეს ჩივილი.

(იმერული სცენა)

დედ, რავ ეირია უფრისფელი რამდი ბიატი გოდ წევიდ მერე! ამს ვიფიქრებდი რომე ასე ტეკიდად ჩეიარდ აი კაჩისტული სქმე?! იმე! იმე! რა გოდი იეო! მისთანა გოდს ნიბრიწ, ვედარ ნახავს იდლიანეს თვალები. მაშგინ მოსამსახურე კი არა ბატონი ვიყავი. რავარტ ბალატის ბრიკდოვი ისთე დეკეარებოდი, ვინ კამტემდ უბატონოთ ხმას! მაშგინ ჩვენი ხაზეინები სქათმეში ძრობოდენ შიშით და ახლა ფეხით გვსრესენ. იგი რავ დამაყიწედებ ერჯერ ჩემმ ხაზეინმ კარზინკ რომ ეიდო ხელში და მითხრა: „იდლიანე! სკაკიტ ბოკოდუსტ შტო ვი კუშიტ სეგოდნა, შტო ვი �есуговъ!! ახლა!. ახლა ბრანწი შენს ივდიანეს, ვერ მოკართვი ბადრიჯანი! წევიდ, კოფრინდ იგი დრიი. ახლა მისი ხელით მოკართმეგს კი არა, ნეტა ს

დი შეკარჩინოს კისერში. მაინც და რავ გედირეენ ეს ბატონები! თუ ვინმეს მაშგინ ნეპრიატნი სიტეკა უთხრობია, ახლა სულ ჩეენზე ურიდობენ გულჯავრს. დედ, უწინ რომ გეკიწიმებოდი დიდის ათ სასთომდის დოკინში ბარიშნასავით!... ახლა დიდას რომ ავდგები კანკრასათ ხუთი სასთია. დამის ორ სასთომდე სულ მაზუდკს მატეკავებს ჩემი ხაზეინი. იდლიანე ბოდი კაწმინდე, ივდიანე ჩეკმები კაჩისთე, ბაზარში წადი, სტუმრები დაბატეჯე, ბარინას იუბკა გოუწმიდე და კიდო რა ვიცი ჯანდაბა ოგენის თავს. ახლა ნეუუკედი ბატარა შებრალება არ უნდა ქონდეთ კაცის?! თედ დდეს სირბიდი და ეკსრენი ბოგეხდივით ბიანი, შე კაცო, ცირკის მასხარა კი არა ვარ! დდეში ორას ვერს მე კი არა ორ ტრუბიანი ბარავოზი ვერ კაკკეთებს. რაცხა შვიდ მანეთს კადმომიგდებენ თვეში და იმის გედიზა თედ დდეს ვიეწიანო, შე კაცო, მე ჩემს ფეხებზენ დეკეარები თვარა ედისაბედხედ კი არ ვჯიკარ! ეეე!... დეიდოცა მისი სახედი, ბიატი გოდ იეოს გაუურებიებდი ჩემი ხაზეინის სეარს. იცოცხდოს ივდიანემ იმ ჩაჩიდაკეთით მოშობილ წვერ-ედაშს ისთე ავაბუტავდი, რავარტ დორის ბანდს, მაგრამ ახლა ქვეუანა საწუადი ხადხის ტერია, უვედა მე დაბესევ. მე შენ კითხრა მანანდედათ შენი გაწერვება კაზეთში არ კამოამცხადო! ახლა კაზეთის დამწერები ისთე ეუია, რავარტ კვახის კაკადი, ისთე იეედება, რავარტ ხამ კაბიკანი ტარანი. შე კაკო, თუ კი კონკის დედეუტორი იეედის, რავ ჩემ ხახეინს გოუწერდება თუ?!.. ახლა კაის კინ დაწერს ჩემზე! არ შეგწამოს წერმა ჩემი გულიზა აფერმა კაცმა არ შეიწუხოს თავი!.. ასთეა, უწინ უვედეჩგენსგენ იეო, უვედე ზდრასთი ბრაშჩაის გვეუმბებოდა, უკედე აფხანიკოს გვიძახოდა, ბატონი და ქალბატონი, მარა შერე.უვედამ ბრანწი მოგვაკარეს...

თუ მართდა შეისმინა დმერთმა ჩემი ვედრება და მოგვესწარი კიდო ბიატი გოდს, იცოცხდოს ივდიანემ, რომ ჩემი ბატონი სულ ბადდადური ვიტეკვოდ და იმ წვერ ცამეტა ხუტეს მეკრედი ამასთგით რომ მოუშვია წვერი ისთე მიგაკანკალა რავარტ დრაგუნტკი ტხენის კუდს.

გ. წყაროსთაველი.



მეხტვირული.

(რუსეთის საზ. მუშებისათვის. ფოთში).

ვინა სთქვა ჩვენი მუშები
შეგნებას გაურბიანო?
ვინა სთქვა ნათელს სდევნიან
სიბნელით ერთობიანო?
ვინა სთქვა ზნითა დაეცენ
ჯურღმულში ეშვებიანო?

—

დეე, სიმართლე სტვირმა თქვას,
ჩავბეროთ, ავაღიღინოთ,
ეს იყოს ჩვენი მსაჯული,
აბა რას იტყვის ვუსმინოთ.

—

აქ საქმე მოხდა დიადი
საოცარი და მაგარი,
ქურდობა მეტათ საშიში
რაინდთა ხელის ნაქნარი,
განაძარცვავი საწყობი
სანახავია საზარი,
,,რაინდთა'' რაზმსა იმათვის,
დაუბნევია დავთარი,
(რაღას იქმოდენ ,,სკლადები''
როს არ ქონიათ საფარი).
ბოლოს კი დანებებულან,
მოუდრეკიათ ფაფარი,
შესულან. გამოუღიათ
ნივთი საჭირო, სახმარი:
შიგრინი, ფარჩეულობა,
ჩაი, თუთუნი, შაქარი ..
(ამბობენ დაფასდებაო
ოთხი ათასი ქანქარი.)

—

გათენდა დილა, მოგროვდა
უკლებლათ მთელი არტელი...
თავზარ დაცემულ საწყობსა
გარს შემოავლეს სარტყელი,
ქურდების კვალსა ეძებდენ
არ დაუკლიათ საცდელი
მაგრამ ამაოთ ვერ ნახეს
ველარ დაადგათ საშველი.

—

მტრის რაზმი გაქცეულიყო
ვერცა ვინ ნახეს მნახველი,
ატირდენ: გურულ-მეგრელნი
ხონელ,—რაჭველნი, კახელი...
ტანს უმშვენე'და ფარ-ხმალი
ჯიბეს ,,ბახჩსის'' სასმელი
და ,,მტერთა'' მოსანახავათ
სამ გზითა იყვენ წამსვლელი.

—

მათ მეთაურობს სარდალი
ცნობილი აფრასიონი
მეორე მხნე და უებრო
გამოჩენილი სიმონი,
მესაძე ჩვენი ლაზარე
აცხია წმინდა მირონი,
არც ზღვა აკავებს ლაზარეს
არცა მდინარე რიონი.

—

აიყარნენ და წავიდენ
საომრათ იყვენ მზათაო
მაგრამ უმტყუნა იმედმა
აზრი არ გაუმართლაო,
ხელ ცარიელი დაბრუნდენ
წასულნი საკობრათაო
ბოლოს მივიდენ, მკითხავთან
და აკითხვინეს სადაო?
რა დღესა გავლენ ფოთიდან
ან თუ დიდი აქვთ ვადაო?
კაცს აბარია თუ ქალსა
პირი მას გაუშავდაო,
შესაკერავათ, გვითხარი
როს გაეხსნებათ მადაო?

—

მკითხავმა კარტი აიღო,
ლაზარეს სახეს ჩახედა,
კარტსა დაუწყო ფურჩული
მერე გაშალა, დახედა

და ნახა რაღაც ნიშნები
თავს გაკვირვებით აქნევდა...
**(„ტუზები“ ერთად მოყრილნი
კარგს არას მოასწავებდა).**
ბოლოს შეკრთა და,—ღიო
წამოიძახა მკახვედა,
ნაქურდალისა შორს წასვლას
ექვსიანს დააბრალებდა,
და გვერდზე ქალის სურათსა
მიბარებასა წამებდა ..
ქვრივია ის ოხერიო
და სცენას ჩაატარებდა...
ამის გამგონი ლაზარე
აღრიალდება მწარედა,
სიმონი ხელსა მოკიდებს,
ლაზარეს დააწყნარებდა,
და ეტყვის: „ქვრივი ვეძიოთ...
მტირალი ცრემლსა აფრქვევდა,
აფრასიონმაც გაიგო,
მაძებართ გაამრავლებდა...
მაგრამ ვერ ნახეს ჯერ კიდევ
რაც იმათ გაახარებდა.
უთუოთ ერთ-ერთ „ბესტშია“
ქვრივი თავს შეაფარებდა.

ნალარა

ქართველი „პატრიოტი“.

(პატარა სცენა)

ილიკო. (**მაგიდასთან ზის და იუმორისტიულ ჟურნალს კითხულობს. გაბრაზებული ჟურნალს დაანარცხებს და გადააფურთხებს**) ფუი, ამისთანა პრესასაც და ორგანოსაც! განა ისაა საზოგადო მოღვაწეობა, რომ ყოველისფერი აურივ-დაურიო?!. კარგი და ავი არ გაარჩიო?! არ იცოდე, ვინ არის დიდი—ვინ პატარა... ვისზედ შეიძლება წერა და ვისზედ არა?!. დალოცვილები, სულ იმას სცდილობენ, რომ ყველანი დაამცირონ, ყველანი სამასხარაოდ გახადონ.. აი, ბატონებო, მთელი ეს ნომერი გადავიკითხე და მასხარაობის მეტი ვერა ვნახე-რა. . აღარა დარჩათ რა წაუბილწავი, ყველას თავიანთი ღვარძლიანი კალამი გაჰკრეს!!! ყველაფერი მიწასთან გაასწორეს, რასაც და ვისაც კი ეროვნული რამე სცხია. კიტა აბაშიძეს, ფილიპე გოგიჩაიშვილს ვიღა ჩივის, აკაკიც ზედ მიაყოლეს...უუუ ლაჩრებო! შურიანებო!.. მაგრამ ფრთხილად, ვაჟბატონებო, წინანდელი დრო ნუ გგონიათ... თქვენ პარპაშობას ბოლო მოეღო.. გეყოთ, რაც ინავარდეთ, გეყოთ, ახლა კი ჩვენი დრო დადგა. არ გეგონოთ, რომ ჩვენ არ შეგვეძლოს განწირული ბრძოლა სამშობლოისა და ჩვენი პრინციპებისათვის... ცოტა დაგვაცალეთ და გიჩვენებთ, თუ როგორიც უნდა მამულიშვილობა და პრინციპებისათვის ბრძოლა! დაგვაცალეთ!!!

დარიკო. (**დაქანცული და გახარებული შემოვარდება კარებში**). ილიკო, გენაცვალე, რა გახარო... რომ იცოდე. . რომ იცოდე .. (**იხდის შლიაპას**) რომ იცოდე... რომ იცოდე...

ილიკო. (**გაოცებული**) რა იყო, ქალო, რა დაგემართა? ნუ იცი ხოლმე ეგრე გაგიჟება. . თქვი ადამიანურად...

დარიკო. (**დაჯდება და ხელსახოცით სახეს იგრილებს**). კიდეც რომ გითხრა, არ დაიჯერებ, ისეთი რამაა... ისეთი რამა...

ილიკო. ნუ დამღლიე, სთქვი, სთქვი...

დარიკო. რა ვქნა გენაცვალე, მინდა და თანაც ვერ გამიბედნია... ისე მიხარიან, რომ შენ ეს ამბავი ძალიან გაგეხარდება...

ილიკო. ჰო, სთქვი დროზე, თორემ გავჯავრდები...

დარიკო ნუ, ნუ, დამაცალე ამოვისუნთქო... ვერ გამიბედნია და რა ვქნა?

ილიკო. ეეეხ! (**წამოვარდება და წასვლას აპირებს**).

დარიკო. მაშ კარგი, კარგი! (**შეცბინის და ნერწყვს ყლაპავს**) ჰო და, შენ ხომ იცი, რომ დღეს „ილიას საღამოს“ გამმართველ კომიტეტისაგან ვიყავი მიწვეული? (**ილიკო თავს იქნევს**) ჰო და კრებამ გადასწყვიტა ცოცხალ სურათებში შენ უნდა წარმოადგინო... იცი ვინა?.. (**იცინის**) არა, იცი ვინა?.. ილია, ილია! (**ტაშს შემოჰკრავს და მოეხვევა ილიკოს**) როცა ეს აზრი პალიკომ სთქვა, ყველას მოეწონა: ჩინებული ილია იქნებაო, ჩინებულიო...

ილიკო. (**ღიმილით სახე გაბრწყინებული**) არა თუ! სახელიც რომ ხელს მიწყობს!

დარიკო. ხომ, ხომ, ხომ კარგი ამბავი მოგიტანე?

ილიკო. რატომაც არა!.. ერთ წუთას მაინც გავწევ ილიაობას...

დარიკო. დიდკაცები შენ გიყვარს და აბა შენ იცი, როგორ იდიდკაცებ!

ილიკო მხოლოდ ერთი ეს მითხარ: ბილეთებს ხომ არ გვაყიდვინებენ?

დარიკო. რა პასუხია! ვინც მონაწილეობას ვიღებთ, ყველანი უბილეთოდ ვიქნებით.

ილიკო. აბა, მამა უცხონდათ, გრიმიც გავიკეთო და ფულიც გადავიხადო!.. ბავშვებსაც ხომ წავიყვანთ?

დარიკო. ნეტა რასა კითხულობ! მაშ არ უნდა ნახონ თავიანთი მამა დიდებულ კაცის როლში!.. (**გადის მეორე ოთახში**).

ილიკო. (**მადიანათ იღიმება და კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტავს. შემდეგ ერთბაშათ მოიღრუბლება და თითზე კბენით**) .. ეს ყველაფერი ჩინებული, მაგრამ უფროსმა რომ გამიგოს!.. მერე?.. ხომ დავიღუპე. (**პაუზა**). არა, არა, არ შეიძლება, ეს უგუ-

ნურობა იქნება ჩემის მხრით... არა... არა... დარიკო, დარიკო!

დარიკო (შემოდის). რა იყო, რა ამბავია, რამ გაგაფითრა?.. სიხარული და ეგეთი სიხარული სწორეთ ვერ გამიგია!

ილიკო. (*დაჯდება სკამზე და შუბლზე ხელს იდებს*) ეეხ, ქალო, რას ამბობ, რის სიხარული!.. ლამის გავგიჟდე.. გასწი ეხლავე და შენი გაფუჭებული საქმე შენვე გამოაკეთე... ჩქარა, ჩქარა..

დარიკო (*გაოცებული*). არა მესმისრა... რა საქმე, რა გაგიფუჭე?

ილიკო (*აღელვებული*). გასწი მეთქი დროზედ და შეატყობინე კომიტეტია თუ რაღაც ოხრობა, რომ არ შემიძლიან ვიკისრო ცოცხალ სურათებში მონაწილეობის მიღება *)

დარიკო (*გაოცებული*). რა.. რა... რატომ?

ილიკო. ეგ შენი საქმე არაა... წადი მალე, ვიდრე არ დაგვიანებულა... წადი მეთქი ეხლავ... რას მიყურებ?.. განა შენ არ იცი, რომ მე თავისუფალი კაცი არ ვარ, ყოველი ჩემი ნაბიჯი დამოკიდებულია მთავრობისაგან?..

დარიკო. მერე?..

ილიკო. მერე და ბოზბაში!.. არ იცი, შე სულელო, რომ ყველა ამას პატრიოტიზმს მიაწერენ და გინდა რომ პანღური მკრან სამსახურიდგან, აი შე დიაცო, შენა?..

დარიკო (*შეშინებული*). რაო, სამსახურიდგანო?.. არა გენაცვალე, რა ვიცოდი,—თუ ეგრე სასტიკობაა.. მეხი იმათაც დავაყარე და იმათ საღამოსაც, თუ კი ჩვენ ულუკმა-პუროთ დავრჩებით!.. ეხლავე, ეხლავე. თუ გინდა შლიაპასაც არ დავიხურავ, ისე გავფრინდები და შევატყობინებ, რომ ავადა ხარ და არ შეგიძლიან მონაწილეობის მიღება (*შედის ოთახში, გამოაქვს შლიაპა და გზა-გზა იხურავს*) ეხლავე... ეხლავე.. ხუმრობაა, უადგილოდ დარჩენა! უიმე! (*გაჟრიალდება და მიდის*).

ილიკო. დაიცა, დაიცა... ისე კი უნდა მოაწყო, რომ არავინ გაიგოს, თორემ იცოდე, „ეშმაკებს“ არა სძინავთ, თუ შეგვიტყვეს, ხომ იცი მთელს ქვეყანაში უმიზეზოთ თავს მოგვჭრიან.

დარიკო (*კარებში*). შენ ფიქრი ნუ გაქვს. (*გადის*).

ილიკო უხ! (*ამოიოხრებს და სკამში ჩაჯდება*). წინაღამ აუტკიებელი თავი არ ავიტკიე!.. ეს-ღა აკლდა ჩემს უფროსს: ისედაც პირველ ხარისხოვანი სოციალისტი ვგონივარ.

(*ფარდა*)

ხუცი.

*) ალბათ მკვდარ სურათებში იქნებოდა მიჩვეული მათი უუქართველპატრიოტესობა. ეშმაკი.

შ ა რ ა დ ა.

ბევრმა დაიწყო შარადის
შეხანხლა, შეკოწიწება,
მაგრამ ეგ ნიჭი, ოხერი
კვლავ მისკენ მიმეწიწება!
ან რა დააცხრობს, გიჟია,
ნამდვილი გადარეული...
აღარ ასვენებს გონებას
ეგ საბორკილე, წყეული!
—რა გზაა... უნდა ვეახლო
და აღუსრულო ხალისი...
(წინააღმდეგნი, მგონია;
არც თქვენ იქნებით ამისი!)
თუ კი ეგრეა, მონახეთ
მოზრდილი, ტილოს ნაჭერი,
(უკანასკნელი ჭინჭია
ჩვენს ტანზე 'მემოსაჭერი.)
ჩვენ ვერც კი ვიცვამთ, ვერც ვხედავთ,
არც გვესმის მისი შრიალი,
(ღმერთმა გაშოროს სუყველას
ის ტილო ოხერ-ტიალი!)
უთუოდ მიხვდით, რამეთუ
ადვილ არს მისახდომელი,
მაშ მოაშორეთ მარცვალი
პირველად იოქმის რომელი.
ორი დაგვრჩება კიდევა,
მათ გაუფრთხილდით კარგათა
(არ მემეტება არც ერთი
გასაწირ-დასაკარგათა.)
ეხლა მონახეთ ნაწილი
სამოსელისა თქვენისა
(საითგან გესმით მუდამ ჟამს
სიმღერა თაგვთა ლხენისა)
სად არა ჭყავის ქანქარი,
გამქარვებელი სენისა!
(მე ჩემზე ვამბობ, რამეთუ
თქვენ იცით განძი თქვენისა.)
გასჭერი მარდათ ეგ სიტყვა
ორი გამიყვა ნაკვეთი...
შარადისათვის, პირველი
მაქვს თქვენთან შემონაკვეთი.
აი, შეხედეთ რა მალე
გათავდა თითქმის ყოველი!''
ახლა მე თქვენგან გარნაღა
მარტოდენ ახსნას მოველი.
მიაწყვეთ ერთი მეორეს
ნაკვეთი თავ-ფეხ-ტანები...
ქართული სიტყვა გამოვა
რუსულათ სათარგმანები.
არ გადათარგმნოთ, ვერა სცნოთ
საქმეთა მათთა პლანები...

(უბრალო ვინმეთ ჩასთვალოთ
ავი ,,ზე-ხულიგანები!'')
ხელში უჭირავთ მითრახი
დაწნული ვირის კანები...
(მათშიაც ბევრნი არიან
ამ ,,გვამთა'' მისამგვანები!)
სცანცლავენ, თურამ გინახეს
ჯიბისკენ გასაქანები...
ფეხ ქვეშ უგია მათ ცხენებს
საწყალი გლეხის ყანები.
(ოჯახში თქვენ მტერს ეწვევნენ
ხოლერის გასატანები!)
წყალობა გალიციანისა
არს ეგ უთავო ტანები...
სულთა მხუთავი სოფლისა
, მფარველად'' ანაყვანები.
თუნდაც მოისპონ ერთთავად,
არ არის დასანანები.
მეტს არას ვამბობ. ახსნიდენ
ვინც იყვენ ჭკუიანები.
(უგუნურთათვის არც ვარგა
ამგვარი გამოცანები!)

კოლო.

ჟურნალ-გაზეთობა.

—

თფილისში „აღმოჩენილი" ,,პრესის სინდიკატი'' ყველგან გამოძახილს იწვევს, ყველგან ამ სინდიკატზე ლაპარაკობენ. ზოგიერთ ადგილებში რაღაც ამ ,,სინდიკატის'' მსგავსი კიდეც ყოფილა. ქუთათური ,,ფონი'' თუმცა ქარაგმით, მარა მაინც გასაგებათ, გვაუწყებს, რომ ის მწერლები, რომლებიც ეხლა ?ოსყიდვის წინააღმდეგ ლაპარაკობენ, გასულ წელს ჩვენი ბანკის რწმუნებულთა კრებებზე გამოქვეყნებულ საქმეებს ვერ მოექცენ რიგიანათ და ეს იმიტომ რომ

„როგორც ხმა გამოვიდა: რედაქციებს ემცნო ბანკის გამგეობისაგან, რომ ბანკის საქმეებზე და განსაკუთრებით იმ ანგარიშზე, რომელიც კომისიამ რწმუნებულთა საზოგადო კრებას წარუდგინა არამც და არამც მათ გაზეთებში არაფერი შენიშვნა არ ყოფილიყო მოთავსებული."

და თუ ეს ბრძანება არ იქნებოდა თურმე შესრულებული, ამ გაზეთებში ბანკი თავის განცხადებებს აღარ დაბეჭდავდა, რათაც თითოეულ გაზეთს **სამი ათასი** (3000) მანეთი დაეკარგებოდა...

ბევრი ვიფიქრეთ, მარა არ იქნა, ვერ გავიგეთ ხსენებული გაზეთების სახელები. ,,ფონელი'' სვიმონიკა კი ამბობს, რომ

,,ეს გაზეთები ჩვენი საქმეების და ხალხის გულშემატკივარნი არიან: ერთი ქართული ასოებით იბეჭდება, ხოლო მეორე კი რუსული ,,აზბუკით'', მათი მწერლები, რასაკვირველია, პატრიოტობენ როგორც ქართველები და რომ მათ პატრიოტობაში იჭვი შეგეპაროს, ყალყზე შედგებიან და მუშტი-კრივზე გამოდიან''...

ნეტავი ვინ არიან ასეთი მწერლები და გაზეთები?

ბ. სვიმონიკა არა თუ არ გვამცნევს მათ ვინაობას, არამედ მსჯავრსაც არ სდებს მათ, ამ მხარეს არ ეხება

,,რადგან ,,ერის'' № 1, Bâton-ს მიერ საკმაოთ დახასიათებულა ამ ,,პატრიოტების'' მოქმედება სამწერლო ასპარეზზე''...

დიდი ეშმაკი კაცი ყოფილა ეს ,,ფონელი'' სვიმონიკა — არც გაამხილა ვინ არის დამნაშავე და არც მათი გასამართლება იკისრა.

რას იზამს უნდა დამორჩილდე ბედს, მარა ჩვენ მაინც ვერ მოვისვენეთ სანამ ,,ერი''-ს № 1 არ ვიხილეთ. გვინდოდა Baton-ის განაჩენი გვენახა ამ ა საქმეზე. როგორც იყო, ვიხილეთ ,,ერი, ნომერ პერვი'' და რას ნახავ: რის Baton-ი, რის განაჩენი! იქ ცნობილი ალაროდიელის შემდეგი განაჩენი წავიკითხეთ:

,,ეს მეორე მაგალითია უკვე ჩვენს ცხოვრებაში, რომ ინტერნაციონალური ბანდა აშმორებულ წუმპეში ცურაობის დროს შეეფეთით ავსებს ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ქართული საზოგადოება მაინც არ სცილდება ამ, ვინ იცის, საიდან გადმოვარდნილ ბანდას და ?ერ მოუხერხებია ერთი მადლიანი მუჯლუგუნით მათი გაძევება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. დარწმუნებული ვარ, კიდევ განაგრძობენ მათთან ,,საერთო საქმეთა'' გაძღოლასა და მათთან ძმობასა და სოლიდრობასა..

ეს რაღას ნიშნავს? ეტყობა, ,,მაგარი'' განაჩენია... ინტერნაციონალური ბანდა .. აშმორებული წუმპე... მუჯლუგუნი .. საერთო საქმე... ძმობა სოლიდარობა. .

ოხ, ღმერთო ჩემო, რა უბედურებას გადაგვკიდა ამ სვიმონიკამ, როგორ მოგვატყუილა. შეიძლება გაზეთების და მწერლების შესახებაც ისე მოგვატყუილა, როგორც განაჩენის შესახებ? თუ ,,ფონის'' შემდეგ ნომერში არ გამოაცხადა მწერლებისა და გაზეთების სახელ-გვარები თავს მოტყვილებულათ მხოლოდ მაშინ ჩავთვლით და ბ. ეშმაკსაც ვთხოვთ, რათა სვიმონიკას ასეთი ტყუილებისთვის სამაგიერო მიუზღოს...

ხუმრობა

(ბათუმისა-ვის)

კრებასა ერთს დავესწარი,
შეკრბენ გმირნი იქ სულ ყველა,
ორატორნი დადნენ „რეჩით",
ჰქუხდენ, როგორც ხელთოფელა...
აქეთ უშნოთ იჯგიმოდა
ანტონ ჭკუა ნაზიანი,
იქეთ ნესტორც კი „ორეჩდა" —
კაცი მცირე აზრიანი.
კოწიამაც აღძრა ენა,
,,რეჩი'' წასკდა საარაკო,
აზრით მრუდი, სტილით ცუდი,
საცინელათ უზაბაკო...
ამოდუღდა მარგალიტი
მიხა ჯანგიანის ყელში,
დომენტიმც კი წაიფშუტა,
ვერ დამაგრდა თავის ხვრელში...

კაპიტონი ფეხზე იდგა,
არ გვაკლებდა ,,რეჩთა'' დენას,
ერთი სტოლ ქვეშ შემძვრალიყო,
ეკლო იმის ალმაფრენას ..
ამან ეს თქვა, იმან ის სთქვა,
სიჩურჩუტე საშინელი..
ვუცქირე მათ და ვიცინე—
საქმე იყო საცინელი..

ჩიბუხი და ყალიონი

დეპეშები. ჭიათურიდან.

(მანცელიძის სააგენტო)

ჭიათურა. ძლიერი ღელვის გამო უმთავრეს ქუჩაზე სამგზავრო გემების მიმოსვლა შეწყვეტილია. ერთი კვირაა ფოსტა არ მოსულა. მოსალოდნელია ხომალდი—,,მრეწვ. საბ. გამგეობა'' ს დაღუპვა. ის ამ დღეებში გავიდა ,,ზედა-რგანისკენ..''

დარკვეთი. ფრანგების შავი ქვის სარეცხ ქარხნის ადმინისტრაციამ სხვა და სხვა სოფლებიდან გამოიწერა ორმოცამდე პატარა ბავშვი, ქარხანაში სამუშაოთ, რადგან პატარა მუშები უფრო დიდ მოგებას იძლევიან*) და პოლიტიკურათაც საიმედონი არიანო...

ჭიათურა. გალლეის კომეტის მოახლოვებამ უკვე იმოქმედა ჭიათურელ „სტრაჟნიკ“ ქაჯაიაზე ის დუქანში ცხენით შედის და ხმალსაც წამ და უწუმ იქნევს ხალხში.

„ზედა-რგანი.“ (ჭიათ.) ინჟ. ჩერნიაევსკს განზრახვა აქვს გამოიწეროს მუშების ჯიბე-პორტმანების სარეცხი, ახალი სისტემის მანქანა, რომ შავ ქვასთან ერთათ მათი ჯიბეებიც მოხერხულათ გარეცხოს...

ს. ქვედა ღვიმევი. ,სტრაჟნიკს", რომელმაც გლეხს ხანჯლის დაკვრა მოუნდომა—წაართვეს გლეხებმა ხანჯალი, მაგრამ შემდეგ, სხვა ,,სტრაჟების'' მოხმარებით გლეხებზე ისევ იერიში მოიტანეს.. ბევრი ცემის და აგრეთვე თოფის სამჯერ ჰაერში გასროლის შემდეგ უკანასკნელნი დაიმორჩილეს

ჭიათურა. პანასევის ქარხნის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს, ახლო მომავალში რამდენიმე მუშა დასასვენებლათ გაგზავნოს ერთ ერთ აგარაკზე .

იქიდანვე. მექუდე სეითო ქიქოძემ სიზმარი ნახა, ვითომც ,,ახალი თაობა მომკვდარიყოს.'' ამ სასიამოვნო ამბის შემდე მან აღარ დააყოვნა და თავის ბიჭს უჯამაგიროთ ქუჩაში გამოუძახა. ქიქოძე ერთობ ნასიამოვნები დარჩა, რომ სიზმარი ასე მალე აუხდა...

დარკვეთი. ფრანგების ქარხნის ორმოცამდე მუშამ ამ დღეებში დეპეშა გაუგზავნეს სახ. სათათბიროს დეპუტატს,—მარკოვ მე 2 ს, რომლითაც თხოვენ მას—მიაქციონ ყურადღება ქარხნის ადმინისტრაციის და აგრეთვე ზოგიერთ მუშების „თავხედ“ განზრახვას, რომლებსაც უნდათ 10 ი საათის მაგიერ 8 ა საათის სამუშაო დღის შემოღებაო და გვიშუამდგომლე ვისთანაც ჯერ არს, რათა დარჩენილ იქნას ისევ 10 საათის სამუშაო დღე ზაფხულშიაცო. ..

იქიდანვე. მანტიორ,—რუდოლფ კ. ოტტოს, ლანძღვა გინების კურსებზე აგზავნიან სახელმწიფო ხარჯით.

*) საქმეც ის არის ბუზებს სპილო აშობინო.
აშმაკი.

ზამთარი.

ზამთრისა სუსხმა თავისებურათ
წამოუქროლა, დააზრო არე,
გაჰყინა ველი, დასჭკნა ყვავილი
თოვლით დაჰფარა ყოველი მხარე.
აღარ ჭიკჭიკობს ბარად მერცხალი
და აღარც ჰყვავის პუჩქნარში ია,
ცივი ყინული ბიბინა მდელოს
როგორც მუხრუჭი გარს შემორტყმია.
წალკოტის მეფა, ნაზი ბულბული,
გაჰქრა აღარ სტვენს, დაობლდა ვარდი,
დადუმდა მწყემსის საამური ხმა
ცაში ტოროლამ მოსპო ნავარდი.
მხოლოდ ყვავ ყორნებს დარჩათ ქვეყანა,
მთელი მიდამო, ტყენი და მთანი,
ირგვლივ სამყაროს წყვდიადით მოცულს
გულს უღრღნის მათი საზარი ხმანი
სად არს ზაფხულო, შენი მშვენება:
ბულბული, ვარდი, მდელოს ბიბინი?!
კეკლუცი ია, მწვანე ჯეჯილი
და მთაში მწყემსის ლალი ლილ ნი?!.

გ. წყაროსთაველი.

დეპეშები ,,კახეთიდან''.

(,,კან''-ის სააგენტო)

თელავი. ნერსესას დუქანში ღვინო გამოილია.

იქიდანვე. გაჩდა საშიშარი სენი, რომელიც თავიდან იწყება. ამის გამო ამბობენ, პირველათ ქალაქის თავს გაიტანსო. მის მემკვიდრეთ მისსავე მოჯამაგირეს ასახელებენ.

კალაური. ჩვენ სოფელში ვილაცამ ერთი ძველი გაზეთი შემოიტანა. ხალხი ძლიერ განცვიფრებულია. მას არასოდეს არ უნახავს ასეთი რამე. ქაღალდები და წერილები კი გაუგონიათ, მაგრამ ხელნაწერი და უმთავრესათ საარშიყო შინაარსისა, ადგილობრივ სამრევლო სკოლის მასწავლებლის მიერ შედგენილი.

ხაშმი. დამყარდა ქვეყანასა ზედა მშვიდობა და ცხოველთა შორის სათნოება: მგლები დაუმეგობრდენ თხებს, ქათმები მელიებს, გლეხები თავადებს, ინტელიგენტები სტრაჟნიკებსა და მამასახლისებს.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაზეთ ხაზნებათ მსურველთ:
1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური'' 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.



ქუთაისის „ᲙᲐᲠᲒᲐ“ შეკის-შეკათ ᲮᲘᲫᲘᲜᲘᲐ
ᲝᲗᲮᲘ ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲗᲣᲛᲪᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲘ ᲨᲔᲙᲠᲘᲫᲘᲜᲘᲐ...
ᲘᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲣᲖᲘᲐᲮᲐᲕᲡ ᲥᲐᲠᲗᲐᲥᲘᲡ ᲕᲐᲜᲐᲮᲠᲘᲫᲐ,
ᲛᲐᲒᲘᲠᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲘᲡᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲔᲠᲘᲐᲗ ᲜᲘᲫᲐ:
ᲓᲐᲮᲕᲔᲓᲘᲐᲜ ᲥᲐᲜᲓᲐᲠᲘᲡᲐ, ᲕᲘᲗᲐᲠᲘᲪᲐ ᲗᲐᲤᲚᲘᲡ ᲮᲐᲜᲖᲘᲜᲘ
Დ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲗ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐᲗ ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲘ ᲓᲣᲠᲖᲘᲜᲘ.

† თავ. სიმონ დავითის ძე გუგუნავა.

† თავ. სიმონ დავითის ძე გუგუნავა.

(ნეკროლოგის მაგიერი)

„კარგ კაცს როგორ დავუკარგო,
რაც რამ სიკარგკაცე აქვსო“.

დ. გურამიშვილი.

„მე კაცი ვარ უსწავლელი, უჩინარი, შესაბრალი“.

სიმ. გუგუნავა.

წარსულ წელს ქუთაისში გარდაიცვალა მოხუცი სიმონ გუგუნავა. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვიყავით, რომ მის გარდაცვალებას აღნიშნავდენ ჩვენზე უფრო ახლო მცნობნი, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. . ხოლო რაკი ხმა აღარაყინ ამოიღო, ჩვენ მაინც, თუმც გვიან, მაგრამ ოიიოდე სიტყვით ვამცნობთ საზოგადოებას, თუ ვინ იყო თ. სიმონ გუგუნავა.

თ. სიმონი იყო შვილი გურია-იმერეთში კარგათ ცნობილი დათა გუგუნავასი. დათა ცნობილი იყო როგორც ერთი ლმობიერი თკადი, დარბაისელი, მწიგნობარი მოლექსე, მეჩოგურე, იშვიათი მომღერალი, მოჯირითე, მოკადრკე, მოსწრებული სიტყვა-პასუხის მექონე. ბურთის მოთამაშე — გადამხტომი, სუფრის მშვენება — ერთ, სიტყვით ის იყო საუცხოვო ტიპი ძველი გურული თავადებისა.

შვილი მისი, სიმონი, დროს შესაფერათ რასაკვირველია ჩამორჩებოდა მამას, მაგრამ მასშიაც იყო ბევრი მამის ღირსებათაგანი. ახოვანება-ტანადობასთან ერთათ მამისაგან ჰქონდა ნაანდერძევი მწიგნობრობა —როგორც დათას მის დროს გურიაში ვერავინ შეედრებოდა შაირულ ლექსთა წყობილობაში, ისე სიმონსაც ადვილათ ვერავინ გაუბედავდა მეტოქეობას.

ის თუმცა ,,იყო კაცი უსწავლელი უჩინარი'', მაგრამ ბევრ მის ნაწერებს ,,**აკაკიც ვერ დაიწუნებდა**''. რის მაგალითი ჩვენს მხცოვან პოეტს უთუოდ ჯერაც ემახსოვნება ასეთ შაირულ ლექსებს, რასაკვირველია, შინაურული ხასიათი ჰქონდა და მისი კითხვით „სტკბებოდენ“ მარტო სასახლის ვალაღებული თავადობა. ამ მხრივ ის ჩვენთვის დიდათ საინტერესო არ არის. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ სიმონი როგორც ,,თამარიანის'' ლექსად გადამღები

თამარიანი, როგორც მოგეხსენებათ, რჩეულოვის ისტორიული რომანია. პირველათ ეს რომანი გალექსა მგოსანმა რაფიელ ერისთავმა. დაიბეჭდა თუ არა რაფიელის ,,თამარიანი'', სწორეთ მეორე წელს გამოვიდა გასასყიდათ იგივე ,,თამარიანი'' სიმონის მიერ ლექსათ თქმული. თუ არ ვცდები, ეს იყო 87 თუ 86 წელს. თუ რამდენათ მსუბუქი და სახალხო იყო გუგუნავას ,,თამარიანი'' ერისთავთან შედარებით, ეს იქიდან სჩანს, რომ გუგუნავას ,,თამარიანი'' გამოიცა ზედი-ზედ ოთხჯერ (ეხლა გასაყიდს ვერ იშოვნი) ერისთავისა კი მხოლოდ ერთხელ.

სხვას არ ვიტყვი და, არ დარჩენილა გურიაში ისეთი წერა კითხვის მცოდნე ოჯახი, რომ ეს წიგნი არ შეეძინა. ამ წიგნიდან ამოღებული ადგილები შეიქნა გურულ ქალ-ვაჟთა ხელიხელ საგოგმანები ჩანგურ-გიტარაზე დასამღერებელი. დღესაც გურიაში ვერ დაესწრებით ვერც ერთ დროს გატარებას რომ იქ არ დასტკბე გუგუნავას ,,თამარიანის'' ლექსებით

ხალხში უფრო გავრცელებულია სასიყვარულო ადგილები - შალვასი თამარისადმი. ეს ადგილი ასე აქვს გუგუნავას:

„შენი ნახვა მესწრაფოდა, მე სხვა საქმე არ მქონია,
წყლის სიღრმეს არ დავრიდე, არც ვეძიე სად ფონია,
ცხენი ზვირთმა დამიყვინთა, დამძირა, დამხრჩონია,
დავსველდი და, გავიყინე, თუ დავრჩები არც მგონია».

ან კიდევ თამარის წერილი შალვასადმი.

„შალვა ჩემო სიხარულო სიცოცხლეზე მეტათ ტკბილო,
„ჩემი თავის სანუგეშოთ ნაშობო და გამოზრდილო,
„ბედისაგან დაჩაგრულო,—დიდი ჭირის გ დახდილო
„უნუგეშოთ დამწვარი ვარ გთხოვ მოხვიდე მომიჩრდილო!

იგივე ადგილი ერისთავს ამ რიგათ აქვს.

„სულზედ უტკბესო ნუ მრისხავ, კალამს მოვკიდე ხელია
„ზემუსაიფო მწყურია, ცრემლები მახრჩობს მჭველია,
„ჩემის ტანჯვისა, ოხვრისა ვერა ვარ გამომთქმელია,
„ათასი ფიქრი გულს მიღრღნის, სიტყვა კი შემოწყელია.“

გარდა ზემოთ მოყვანილი სანიმუშო ტაეპებისა ზედ მეტი არ იქნება მოვიყვანოთ გუგუნავას თამარიანიდგან სხვათა შორის ერთი საგულისხმიერო ტაეპი:

„ნუ გექნებ თ ერთმანეთში სიხარბე და უთანხმობა
„ძირი არის ბოროტების—სიძულვილი, შური მტრობა
,,აღიხოცეთ გულისაგან საკუთარი სარგებლობა,
„დაამყარეთ ხალხთა შორის სიყვარული და ერთობა."

ასეთი აზრები „თამარიანში ძრიელ ხშირია. გარდა ,,თამარიანისა'' სიმონს დარჩა ახალგაზრდობის დაბეჭდილი ლექსი: ,,ტყვე სასტიკი ზამთარისა'' ჟურნალ ,,კვალში'' იყო მისი ლექსი ,,ენა''.

სიმონ გუგუნავა დიდხანს მსახურებდა გურიაში თავად-აზნაურთა წინამძღოლათ შემდეგ იყო ლეჩხუმში მომრიგებელ შუამავლათ. მის თამარიანს'' გურიაში წერა-კითხვის გავრცელებაში დიდი სამსახური მიუძღვის და ჩვენც ვასრულებთ განსვენებულის სურვილს:

„მწარეს ნურვინ ჩამომძახებს,
თუ რომ ტკბილი არ მაღირსო “

და მისი ხსოვნის პატივსაცემლათ ამ მცირე წერილით ვიგონებთ და მის ახალგაზრდობის სურათს, როცა ის მილიციაში მსახურებდა, აქვე ვათავსებთ.

აპ. წულაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ,,მათრახის'' მერვე ნომერში მოთავსებულია შეკითხვა მიხაილოვიდან, რომლის ავტორი, ბ-ნი ,,ახ—ი'' ყოვლად უსამართლოთ და მოურიდებლათ ბრალსა სდებს ზოგიერთ ადგილობრივ მუშებს. ჩვენ, კარგათ მცნობნიბ-ნი«ახ—ის»ავათმყოფი თავმოყვარეობისა,დიახ,ჩვენც კი გაგვაოცა იმისმა აგრეთმა მოურიდებლობამ **საშვალებების** არჩევაში მოპირდაპირესთან ანგარიშის გასასწორებლათ.

ადამიანი, რომელიც პატივს არა სცემს თავის სიტყვას, რომელიც პირადი ანგარიშებით არ მოერიდება რედაქციის და მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, დამერწმუნებით, ღირსი არ არის პასუხისა. მიუხედავათ ამისა, ჩვენ საჭიროთ ვცნობთ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ მკითხველებს.

1) ბ-ნი ,,ახ—ი''ს არა სწამდა უმრავლესობა და მისი გადაწყვეტილება.

2) მას მუდამ მიაჩნდა თავისი თავი უცოდველ პაპად და მზათ იყო დიდი უმრავლესობის აზრი ფეხით გაეთელა.

ბ-ნი ,,ახ—ის'' ასეთ თვითნებობას და სხვა საქციელთ მსჯავრი დაუდეს და ასეთი დადგენილება მიიღეს:

ბ-ნი ახ—ი, როგორც ნერვებით ავათმყოფი, უკიდურესი ეგოისტი, უარმყოფელი ყოველგვარ საზოგადო დადგენილებისა, გადაირიცხოს ისეთ ერში, სადაც იმისთანა მღვდლებს საჭიროებენი. ეს იყო და ეს.

თანაც ყოველივე ეს მოხდა კარგა ხანია, მაგრამ ,,ახ-ის'' რაკი ერთხელ დაადგეს კუდზე ფეხი, ის ჯერ კიდევ დიდხანს იწიწმატებს. დეე იწიწმატოს და ივარჯიშოს, მაგრამ მასაც არ შეფერის ამგვარ საზიზღარ საშვალების მიმართვა და ასე მოურიდებლათ სრულიად უდანაშაულო პირთა გვარების გაზეთის ფურცლებზე ჩირქის მოცხება.

დასასრულ ვუსურვებთ ბ-ნ ,,ახ—ის'' უფრო ნამუსიანად შეასრულებინოს კორესპონდენტის მოვალეობა და რედაქციის ნდობა პირად ანგარიშების გასასწორებლათ არ გამოეყენებინოს. ჩვენ კი მეტი მასთან საბაასო არაფერი გვაქვს.

მონდობილობით ე რ თ ი.

ბ. რედაქტორო!

დღემდე ბ. გ—ლი დაჟინებით გაიძახოდა: ყოველ წუთს მზათა ვარ სამედიატორო სამართალში გამოგყვე, თუ ჩემს მაგივრათ ჩემს რწმუნებულს მიიღებო. მეც დავთანხმდი და საკმაო ვცდაც მიეეცი (იხ. ,,მათრახ-სალ. № 7). დღეს-კი ბ. გ—ლი რწმუნებულის გამოგზავნის ნაცვლათ ისევ ჩემს ლა-

ნძლვას მოჰყოლია: ,,ს. პაპინაშვილი სისტემატიურ პროვოკაციას ეწევა როგორც ჩემს წინააღმდეგ, აგრეთვე ორ სხვაზედაც, რასაც შესაძლებელია არა სასიამოვნო შედეგი მოჰყვეს. (იხ. მათრახ.—სალ. № 8).

სწორეთ სასაცილოა!.. მე რომ პროვოკაციისთვის მიმემართა, ნუ თუ ამდენი ხნის განმავლობაში ვერავინ დაინახავდა იმ რაღაც ,,არა სასიამოვნო შედეგებს,' მე ხომ მათ თითოეულით ყველას კარგათ ვიცნობ!.. მაგრამ მე მსურდა კულტურული საშუალებით გავსწორებოდი ბ-ნი ,,გ—ლის'' ყოვლად უკულტურო და შეუწყნარებელ მოქმედებას.

ბ. გ—ლი თავის გარდა ორს კიდევ სხვას იხსენიებს, რომლებსაც ვითომ ჩემი პროვოკაცია აშინებდა. ვინ არიან ეს ორი სხვა?! ესენი სწორეთ ისინი არიან, რომლებსაც დიდი ხანია ჩემთან პირადი მტრობა ჰქონდათ. რომლებსაც ბ. გ—ლს უჩურჩულეს და ჩემი თავი პრესის საშუალებით გაალანძღვინეს და მით გული ,,მოიფხანეს''. აი, სწორეთ ამ პირებმა ჩააყენეს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ბ. გ—ლი, რომელმაც ჩემგან მიცემულ ვადაზე (როცა მე მზათ ვიყავი) აღარ გამომიგზავნა რწმუნებული და ახლა რაღაც მოსაზრებით ორი კვირის ვადას მთხოვს, ამაზე მე უარს ვეუბნები, ვინაიდან ზოგიერთი ჩემი მოწმეები აქ აღარ არიან.

ამით ვსპობ ამ საგანზე კამათს როგორც ბ. გ—ლთან ისე სხვებსთან.

კონდუქტორი სანდრო პაპინაშვილი

მათრახის ფოსტა.

სადმე. ხოროს. არ დაიბეჭდება.

შორაპანი. პოლისინეს ნათლულს. არ დაიბეჭდება. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო.

თფილისი. გ. უ—ს. თქვენი საუცხოვო ლექსი ზღაპრათ, ანუ უკეთ ვსთქვათ ზღაპარი ლექსათ მარგალიტათ ჩაითვლება ჩვენს «სიტყვა რაზმულ» (სიტყვა-კაზმულში არ აურიოთ!) მწერლობაში. აი ერთი ნაწყვეტიც:

,,იყო ბიჭი
ქონდა ნიჭი
წვერ ნაკრიჭი
სახე ღრიჭი
ხელს მეჭიჭი
რაჭული ,,ჭი''
იცოდა კი.''

მშვიდობით! ჩვენ მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია გისურვოთ, რომ ,,ჭ'' გარდა სხვა ანბანებიც შეგესწავლოთ.

სადმე. ბაჩას. თქვენი ლექსიც ერთობ ტკბილ-ხმოვანი და რითმოვანია.

,,ეცვა ფარჩა,
თვალი დამრჩა..
გადვიქარე,
გადიქარა.''

ჩვენ ის გვიკვირს—ჭკუა სად დაგრჩა?

ხარბინი. ხარბინელს. ბრალდება ადვილია, დამტკიცება ძნელი, დაბეჭდვა შეუძლებელი.

ჭიათურა. ბელატასშვილს, თქვენი წერილიც ერთობ ბელატ-აზროვანია. არ დაიბეჭდება.

სამტრედია. ,,ქალიკონსა'', ანუ ,,ბუქსა''.
ამბებსა სწერთ თქვენ მსუბუქსა.

სადმე. გზის პირელს. თქვენი შარადა თვით კოლომ ვერ ახსნა. თქვე დალოცვილო ჯერ ერთი ,,ყირიმი'' უნდა და არა „კრიმი". მეორე—ყირიმი ნახევარ-კუნძულია და არა კუნძული (ყოველ შემთხვევისათვის იცოდეთ, რომ კუნძული ხმელეთის ისეთ ნაკვეთს ჰქვია, რომელსაც ყოველი მხრიდან წყალი არტყია). ერთი სიტყვით, როცა გეოგრაფიას შეისწავლით, მერმე კარგი შარადების წერა გეცოდინებათ.

წელიწადი 1910 წლისათვის მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი კრებული

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома", Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა" რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ი. ტურაბელიძე.

უხერხული მდგომარეობა.

ლიტოგრაფია ს. ბიხოვისა.

Рис. Г. Петтера.

პირველი მოჭიდავე. მეგობარო, დღეს ვინ უნდა დამარცხდეს? მე უნდა წავაქციო შენ, თუ შენ უნდა წამაქციო მე?

მეორე მოჭიდავე. წარმოიდგინე მეც დამავიწყდა!